აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
15 სექტემბერი, 2017

დადგენილება №4(17/18)
სტუდენტის პირადი საქმის წარმოების წესის შესახებ

1. აკადემიური საბჭოს #33 (16/17) დადგენილებაში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, დამტკიცდეს უნივერსიტეტში სტუდენტის პირადი საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის ნუსხა თანდართული ფორმით.
2. დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს, დოქტორანტურის განყოფილებას და პროფესიული პროგრამების კოორდინატორს ამ დადგენილების I, II, III და IV მუხლების მიხედვით აწარმოონ სტუდენტის პირადი საქმე.
3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ასოც. პროფესორ შალვა კირთაძეს.
4. დადგენილება ძალაში შევიდეს 2017 წლის 15 სექტემბრიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

დანართი

I. 2014-2015 სასწავლო წლიდან ჩარიცხული ბაკალავრებისა და ერთსაფეხურიანი სწავლების სტუდენტებისათვის

1. განცხადება (გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისა)
2. ატესტატის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;
3. 2 ცალი სურათი 3 X 4 - ზე;
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვა ან საქართველოში ლეგალურად ყოფნის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.
7. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
8. უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანებიდან ამონაწერი;
9. მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანება (თავდაპირველ უსდ-ში ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანებები);
10. აკადემიურ სწავლებაში სტუდენტის მოძრაობის, წყვეტილობის და სტატუსის განმსაზღვრელი (შიდა მობილობის, შეჩერების, განმეორებით და დამატებით სემესტრზე დარეგისტრირების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციასთან დაკავშირებული, აღდგენის, შეწყვეტის,) ბრძანებების ნომერი აღინიშნოს სტუდენტის სასწავლო ბარათში;
11. სასწავლო კურსების კრედიტების ათვისების დამადასტურებელი დოკუმენტი დამოწმებული ბეჭდით;
12. ამონაწერი კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანებიდან.

II. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მსწავლები სტუდენტებისათვის

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. 2 ცალი სურათი 3 X 4 - ზე;
4. ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და მისი დანართის ასლები;
6. უცხოენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების შესაბამისი ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
7. უნივერსიტეტსა და მაგისტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
8. უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანებიდან ამონაწერი;
9. მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანება (თავდაპირველ უსდ-ში ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანებები);
10. აკადემიურ სწავლებაში სტუდენტის მოძრაობის, წყვეტილობის და სტატუსის განმსაზღვრელი (შიდა მობილობის, შეჩერების, განმეორებით და დამატებით სემესტრზე დარეგისტრირების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციასთან დაკავშირებული, აღდგენის, შეწყვეტის) ბრძანებების ნომერი აღინიშნოს სტუდენტის სასწავლო ბარათში;
11. სასწავლო კურსების კრედიტების ათვისების დამადასტურებელი დოკუმენტი დამოწმებული ბეჭდით;
12. ამონაწერი კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანებიდან.

III. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მსწავლები სტუდენტებისათვის

1. განცხადება
2. დოქტორანტის ავტობიოგრაფია;
3. 2 ცალი სურათი 3 X 4 - ზე;
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის

და მისი დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

6. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია;
7. რეფერატი ან პუბლიკაცია, რომელიც სამეცნიერო ხელმძღვანელის ნებართვით შეიძლება ჩაითვალოს რეფერატად;
8. ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
9. ამონაწერი ბრძანებიდან დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ;
10. ბრძანება სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
11. ბრძანება სადისერტაციო თემის დამტკიცების შესახებ;
12. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა;
13. საგამოცდო უწყისები სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული საგნების ჩაბარების შესახებ;
14. დოქტორანტის კრებსითი უწყისი;
15. სემესტრზე დარეგისტრირების ბრძანებები;
16. სტატუსის განმსაზღვრელი (შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის) ბრძანებები;
17. ბრძანება სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
18. ბრძანება სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
19. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა დისერტაციის შესახებ;
20. ბრძანება ოფიციალური ექსპერტების გამოყოფის შესახებ;
21. ოფიციალური ექსპერტების დასკვნა დისერტაციის შესახებ
22. ბრძანება ოფიციალური შემფასებლების გამოყოფის შესახებ;
23. აკადემიური საბჭოს დადგენილება ოფიციალური შემფასებლის შესახებ (აწსუ-ს დადგენილება დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში);
24. ბრძანება სადისერტაციო კომისიის შესახებ;
25. დოქტორანტის ბარათი: სადისერტაციო კომისიის წევრებისათვის სადისერტაციო ნაშრომისა და ავტორეფერატის ჩაბარების შესახებ;
26. ბრძანება დისერტაციის დაცვის თარიღის შესახებ;
27. ოფიციალური შემფასებლების დასკვნა დისერტაციის შესახებ;
28. დისერტაციის ავტორეფერატი;
29. ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

IV. პროფესიულ პროგრამებზე მსწავლები სტუდენტებისათვის

1. პროფესიული განათლების წინა საფეხურის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
2. მოდულურ და საგნობრივ პირველად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საშუალო/საბაზო განათლების დამადასტურებელი ატესტატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. 2 ცალი სურათი 3 X 4 - ზე;
5. ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
7. უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანებიდან ამონაწერი;
8. მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანება;
9. პროფესიული სტუდენტის მოძრაობის, წყვეტილობის და სტატუსის განმსაზღვრელი (შიდა მობილობის, შეჩერების, განმეორებით და დამატებით სემესტრზე დარეგისტრირების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციასთან დაკავშირებული, აღდგენის, შეწყვეტის) ბრძანებების ნომერი აღინიშნოს სტუდენტის სასწავლო ბარათში;
10. სასწავლო კურსების კრედიტების ათვისების დამადასტურებელი დოკუმენტი დამოწმებული ბეჭდით;
11. ამონაწერი კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანებიდან.